

*გიორგი ჩინჩალაძე***“ხელწმინდა კანკაბი” – ხევისბერები**

(ეთნოლოგიური ნარკვევი)

“ვისაც სახლისა, სოფლისა და მამულის  
უფროსი სწამს, იმის ვენახი გურფად დაისხამს...  
და ვისაც უფროსობა არ ესმის, იმას არც ვაზი  
უღებებს ყურს, არც თავთავი!”

(ხალხური სიბრძნე)

ხევისბერი, სიკვავასიკვით “ხევის” – მცირე აღმინისტრაციული ერთეულის (სოფელი, თემი) მეთაურს – უხუცესს ნიშნავს. ქართულ სინამდვილეში სოფელი, გრადიციულად სისხლით მონათესავეთა მონოგენური, ანუ საგვარეულო დასახლებაა, რომლებიც მცირე მონათესავე ერთეულებად - ქვეგვარებად იყოფოდნენ (პაგრონი-მიები) და კომლებად – დიდ ოჯახებად ცხოვრობდნენ. მიღებული აზრით, თემი გვარის გარეშე არ შეიძლება არსებობდეს და გვარი – თემის გარეშე, რომ თემი ესაა შთამომავლობა საერთო წინაპრისა. ეს ქმნიდა სწორედ საქართველოში “მკვიდრობის,” “უნჯობის” თუ “მამულიშვილობის” ცნებას. ამ თემ-სოფლის, გვარის უხუცესი იყო სწორედ ხევისბერი – სოფლის წინამძღვარი. მთის ყოფამ ბოლო ღრომდე შემოინახა პაგრონიმიებად – “მამებად” (ქვეგვარებად) დაყოფის კვალი, რომლებიც ფუძე-გვარს აკუთვნებდნენ თავს. ფშავი, როგორც ცნობილია 12 ასეთ თემ-სოფლად, გვარეულებად იყოფოდა და თემი ეს იყო ფაქტიურად “სადმო” – საერთო “ხაგით” (სალოცავით) გაერთიანებული სისხლით მონათესავეთა სოციალური ერთობა და ერთმანეთსაც “ძმათაშვილებს” თუ ბიძაშვილებს ეძახდნენ. როგორც უფროსი – მეთაური, ხევისბრობაც ამ ძირ-გვარში “მოღენილობით” გაღაღიოდაო. მაგრამ უპარაკესობა პირად ღირსებებს ეძლეოდა. ამიგომ ხევისბრობა ხაგის “გამორჩევით,” “მოკითხვით” ყოფილა. ასეთ პირს თავად ხაგი – ღვთისშვილი “ამიბეზება” – ავადმყოფობით, რაიმე განსაცდელით, ან გააქაღაგებდა. ამიგომ, მათ ხაგისაგან “დაჭერილებსაც” ეძახდნენ. თუ უძალიანდებოდა, აყოვნებდა მისვლას და “ხაგიც” ძალიან შეაწუხებდაო, მაშინ “ჭდეს” ამოაგდებდა თავისი მამულიდან და ხაგის კარზე დააგდებდა. აღთქმის ნიშნად, რომ ხევისბრობას თავს იღებდა. ხევისბრად დადგომისას ცხრა საკლავის სისხლით უნდა “ენათლა” ხელ-მხარი, ჯვარის სახით ეცხო სისხლი შუბლზე, გულსა და მხარზე. ხევისბერი უნდა ყოფილიყო გონიერი, ადათ-წესების კარგი მცოდნე – “კითხული,” “ჭკუამკითხე კაცი,” სოფლისათვის წესისა და

სამართლის მიცემი, საბრძოლო გამოცდილების მქონე, ომიანობისას “ლაშქართ თავადი” – წინამძღოლი. გადაწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა სწორედ პიროვნულ თვისებებს, ცხოვრებისეულ გამოცდილებას. ასეთ კაცზე ამბობდნენ – “მის სიტყვას დღე აქვს, სიტყვა უჯლების.” ასეთ გამოცდილებას ბავშვობიდან იღებდნენ; უფროსების ლაპარაკის ყურის “გლებით” და დამახსოვრებით. სწავლობდნენ რჯულ-წესის გარჩევას, შუა-კაცობას, შემრიგებლობას. “ხატიც” ასეთ ნიჭიერ პირს ბავშვობიდანვე გამოარჩევდა – “ამიზეზღადო.” ამიტომ იყო ის ხატის რჩეული, შუამდგომელი ღვთისა და კაცთა, ამასთან საზოგადო (თემის) ნების გამომხატველი, რომლის სიტყვას ყველა ემორჩილებოდა. იგი იყო ადგილზე სასამართლო, ადმინისტრაციულ-პოლიციური (სადამსჯელო) თუ სამხედრო უფლების გამტარებელი და ამასთან “ხატისკაცი” – ხუცესი. სისხლის, საოჯახო, ქონების თუ სხვა სამართლის საქმეების “ბჭე” ანუ მოსამართლე. ადათ-წესების (შეპირკანონთა) მთლიანობას, მთიელები “ხელს” უწოდებდნენ და სადაო საქმეების გარჩევისას სწორედ ამ წესებით ანუ “ხელით” ხელმძღვანელობდნენ. “ხატში” დასტურ-ხელოსნების საგანგებო ინსტიტუტი არსებობდა. მოსამართლე-ხევისბრებს კი თუშეთში “ხელხოი” ერქვათ. ხევისბრები ყოველწლიურად. რვა ოქტომბრიდან ათ ნოემბრამდე ჩამოივლიდნენ მთელ ფშავისხევს და არჩევენ სადავო საქმეებს. ურჩებს კი “ჯურუმს” ადებდნენ. “ხელის” (საერო სამართლის) საკითხებზე ხევისბრები დღეობების წინ საგანგებოდ იკრიბებოდნენ – მეცადინეობდნენ, ათანხმებდნენ, რასაც “გარჯულვას” ეძახდნენ.

ფშავის მთავარ, ლაშარის “ჯვარში” საგანგებო, სიპით დახურული შენობა – “საბჭო” იყო, სადაც მოსამართლე (“ბჭე”) ხევისბრები იკრიბებოდნენ და მთელი ფშავისხევის საჭირობოროგო, გადაუდებელი საქმეები ირჩეოდაო. გადაწყვეტილების ურყეობის მაჩვენებლად თავხევისბერის ყავარჯენი და ხატის ღროშა ითვლებოდა. ასეთი “საბჭო” – განმსჯელი ორგანო ყველა მთავარ-თემთაშორის სალოცავში იყო. გავისხენოთ, “იქიდან არნ სენაკ, სად სამართალი ბჭეთაგან იბჭოდის. რაიც მძიმა საქმე ხეჭი ავარდის, მუნ იბჭობილნეს. აირჩივიან ბჭელა ბრძენ-ბერ-კაცნი, დასხმენ მათ იმ სენაკში საბჭობად. რასაც მერედ სამების სახელით, ხთისგან მათხოვნილ მადლით იგნ ბჭენი ჰსთქმიან, გადასჭრიან, არავინ შეშლიან, არავინ გადავლიან” (იხ. “მგზავრის წერილები”). ასე რომ, ხევისბერი იყო სოფლის “თავ-კაცი,” “თაოსანი,” “მეცოდინე,” “კითხული” კაცი. გენეტიკურად გვარის უფროსიდან მომდინარე “მოთავის” – უხუცესის ეს ინსტიტუტი ორგანულია მთელი საქართველოსათვის. შრომის თუ უქმე – დღეობების წესრიგსაც ის იძლეოდა. ხატის “ნაყევრალეებზე”

(მამულებზე) პირველი ხნულის თუ მკაში პირველი კვალის გამოძჭრელიც ხევისბერი იყო. სახუცო წესებიც – “ღიღებათ თქმა,” გაქადაგება თუ სხვა “ხიგისაგან” იცოდნენო, “სიზმარში სწავლობდნენ” ღვთისშვილებისაგან. განსაკუთრებული “წმინდაობით” ძველი ხევისბრები გამოირჩეოდნენ და ამის გამო “ხატს” პირად ელაპარაკებოდნენ. მათ ნაკურთხ ბერებსაც კი ამსგავსებდნენ, ანუ თავიანთი ცხოვრებით ხალხისათვის წესის და სამართლის მაგალითები იყვნენ. ზოგიერთს ამ “წმინდაობით” – განდევნილობასთან, ბერობასთან მიმსგავსებით მკითხაობის – ქადაგობის უნარიც ეძლეოდათ. ბრძოლაშიც, ფშავ-ხევსურები ისე არ ჩაებმებოდნენ თუ გაქადაგებული ხევისბერის პირით, წმ. გიორგის ნებას არ გაიგებდნენ; ხევისბერიც სალაშქრო დროშით წინ უძლოდა მათ. მიღებული აზრით, სწორედ ლაშქრის მოთავეობა იყო ხევისბერის მთავარი ფუნქცია, რადგან მთიელები ბეგარას სამხედრო ვალდებულებით იხდიდნენ, როგორც სახელმწიფო ანუ ბაგრატიონთა “უნჯი” ყმები. ამიგომ ომებში ისინი მეფეს (სახელმწიფოს) “გვერდში უნდა დგომოდნენ.” ხევისბერს ევალებოდა ლაშქრის ორგანიზება და მეთაურობა. ფშაველთა საერთო სალოცავი – “ლაშარიც,” “მოლაშქრე ჯვრად” იწოდება. სახელმწიფო კანონებში (“ძეგლისღება,” “დასტურლამალი”) ხევისბერი წარმოდგენილია, როგორც “ლაშქართ თავადი” და ციხისთავი (ციხე-სიმაგრეთა გამგებელი). მისი სისხლი აზნაურისა და გამგებლის სისხლის გოლი იყო. ამ სამხედრო და სასამართლო ფუნქციების უპირატესობაზე მოწმობს ისიც, რომ იერარქიულად ხევისბერი სამეფო კარზე მსაჯულთუხუცესს ემორჩილებოდა. სახუცო ფუნქციები კი ხევისბერებმა მოგვიანებით შეიძინეს, როდესაც ძნელბედობის გამო ცენტრალური ხელისუფლება იქ მძვდელმსახურებს ვეღარ აგზავნიდა და ამიგომ ქრისტიანულ წესებს მრავლად შეერია ხალხური ჩვევები თუ არაქრისტიანული წესებიო. თუმც, სამეფო კარი სულ ამის ცდაში იყო, მთიელთა “კეთილად გარჯულებაში” – “უკანასკნელ სულ მეფე ერეკლემ გაგვაქრისტიანაო” (კალმასობა). თუმც, ჩვენი აზრით, საერთო-სამხედრო უფლების ხაზგასმვა, არ გამოირიცხავს ხევისბერის, როგორც უხუცესის, თემის მეთაურის ღვთის წინაშე შუამდგომლობას. მით უმეტეს, რომ იგი “ხატისაგან” გამოირჩეოდა ანუ ღვთის მლოცველი და მოშიში (სინდისიერი) პირი უნდა ყოფილიყო, გონიერება – “მცოდნეობასთან” ერთად. გავიხსენოთ ხალხური თქმაც, “ხმა ღვთისა, ხმა ერისა.” დღემდე უძველესი დროიდან მომდინარე ჩვეულებით, ოჯახის უფროსი უქმე დღეებში საშინაო ღვთისმსახურებასაც ადასრულებს. კერა კი საოჯახო სამლოცველოა. “ხატისაგან მოყვანილი” ხევისბრის გარეშე არც ერთი საცილო (სადაო) საქმე

არ წყდებოდა სოფელში. ხაგი მორალურ ავტორიტეტს აძლევდა მის სიტყვას, რადგან ხევისბერის პირით თავად ხაგი – ღვთისმეილი, როგორც სოფლის “მეთვალყურე” უცხადებდა მათ თავის გადაწყვეტილებას, ამიტომ ხევისბრის სიტყვა თემ-სოფელში კანონი იყო. ადათ-წესების, როგორც აღვნიშნეთ, ხაგის კარზე თანხმდებოდა, შეჯერდებოდა. მთავარ, თემთაშორის სალოცავში – ლაშარში მიღებული განაჩენი კი მთელი ფშავისთვის სავალდებულო იყო. აქ მიღებული გადაწყვეტილებები სათემო და სასოფლო ხატებში ვრცელდებოდა. ფშავ-ხევსურეთის სალოცავებსაც რჯულის საკითხებზე ერთმანეთში გარჩევები და თანხმობა ჰქონიათ. დიდი სადაო საკითხების გარჯულისას ცნობილ თავხევისბერებს ხშირად იწვევდნენ ერთმანეთში. კერძოდ, ლაშარის ჯვრის ცნობილი თავხევისბერი გარა თურმანაული ხევსურების ორ გვარს შორის ამტყდარი მესისხლეობის საქმის გასარჩევად მოუწვევიათ. გარა მისულა ყავარჯინთ და როცა საჩივარი გაიმართა გარამ ყავარჯინი მიწას დასცა და თქვა – სამი თავი სამ თავში გაეაბაროთ, ცოდვს მეყო და მაღლად. დარჩენილი სამი ადგილში გაეაბაროთო და ღაზარალებულ გვარს სისხლის ფასში ადგილი მისცა.

ხაგის “დაჭერის” – რჩეულობის ერთი მთავარი გამოხატულება იყო ზემოთაღნიშნული “წმინდაობის” ინსტიტუცი (მიღებული წესი). სწორედ ამ მარტომყოფობის, განკრძალულების დროს იძენდნენ ხევისბრები მისტიურ ცოდნა-გამოცდილებას ხუცობის წესრიგის, ქადაგობის, ადგილობრივი სამართლის (ადათ-წესების) გაძღოლის, მოლაშქრეობის თუ სხვ. რის გამოც ითვლებოდნენ ისინი ერთდროულად “ხაგის” და სოფლის გამძღოლთ-მოთავედ, “რჯულის,” როგორც დაუწერელ, ზეპირკანონთა, ჩვევათა ერთობლიობის “მეცოდინედ,” ხაგის და კაცის შუამდგომელად, ავტორიტეტად – “მოთავედ.” კრძალულების ეს განცდა იყო, რომ ხელ-მხარ უნათლავე ხევისბერი დღეობის წესრიგს არ შეუდგებოდა. ხაგის ბედელში, ისიც დადგენილ დღეებში, მხოლოდ განდაბანილი, ხელ-მხარ “ნანათლი,” ფეხშიშველა და უქულოდ შედიოდა, ლოცვით და პატიების – შენდობის თხოვნით. საზარესთანაც ასევე ფეხშიშველა მიდიოდა. განს მხოლოდ წყაროს წყალში იბანდნენ, თუნდაც ბამთრის სუსხი ყოფილიყო. საოცრად ერიდებოდნენ “მირელ” და “ნაცივარ” ადგილებს. ამის გამო პურსაც თვითონ აცხობდნენ, წისქვილშიც თავად დადიოდნენ. ხაგის წესრიგს და მეურნეობას “ნაყევრალებს” (მამულებს), ბედელს, სალუდს და სხვ. რამოდენიმე დასგურ-ხევისბერი განაგებდა. ზოგს ბედელი ებარა – სათესლედ პურის გამოტანა და ლეწვის შემდეგ პურის ტომრებით შეტანა, ასევე სალუდე ქერის გამოტანა, ზოგს კოდ-მესაფუელებობა, ზოგს თას-განძი, ზოგს სალაშქრო

დროშა და სხვ. მთავარ, “თავ” ხევისბერად ის ითვლებოდა ვინც საკლავს კლავდა – “მღვნობდა,” სანთელს ანთებდა და “დიდებათ” იცყოდა, საზარეთთან მიდიოდა, ზოგჯერ მგზავრ დროშასაც აგარებდა. დასასრულ, ხევისბრის ფიგურის ზოგადი შეფასებისას დავუმატებთ, რომ თავისი სოციალური როლით, ის იგივეობრივია ბარში მიღებული სოფლის “თავკაცის,” “მოთავის,” რომელიც იყო ძლიერი – “მაცხოვრებელი” ოჯახის ანუ “ერთობის სახლის” უფროსი, მთელ გვარ-სოფელში გონიერება – “მეცოდინეობით” და ავტორიტეტით გამორჩეული კაცი. თავისი სოფლის “მაყურებელი” – წესის და სამართლის გამრჩევი და მიმცემი, დღეობებში კი საკლავის დამკვლელი და დამლოცველი. არა მარტო მწეობრივი ლიდერი – ავტორიტეტი, არამედ შრომით საქმიანობაშიც. რადგან ერთობლივ შრომაშიც (მოდგამში) ის იყო “მოთავე,” მხენელ-მთესველთა უფროსი ანუ “გუთნისდელა.” ქალაქის სინამდვილეში ასეთი წინამძღოლი იყო უსტაბაში – ვაჭართა და ხელოსანთა შრომითი ერთობის მეთაური, ამასთან მწეობრივი “მამა” – მოძღვარი. აქვე გავისხენოთ, რომ ძველი გააზრებით “ხელი” (ხელოსანი ხელობა) შრომითი წესების, საქმიანობის ნიშანიცაა. შდრ.; პურისა და ღვინის “ხელი,” ანუ საქმე. და ეს “ხელი” საკუთარი ღირსების – “სახელის” განცდასაც უკავშირდება, რადგან ცნობილია რომ, საქმეში გამოხატავს ადამიანი თავის პიროვნებას, თავის თავს. გავისხენოთ, “ყოვლი საქმე მწეობაა” (არჩილი). ასეთი გამაერთიანებელი, შემეცნებითი როლი გააჩნდა ხელობას და საზოგადო იდეალის – “სადვთო წესის” სახეს იღებდა. შდრ.; “პატიოსანი მარჯვენის” თუ “ალალი ოფლის” ხალხურ მცნებებს. ამ საზოგადო ცნობიერებით იყო, რომ ზოგიერთი “ხელობა,” მაგ. მხენელ-მთესველობა, “გუთნისდელობა” ქართველობასთან იყო გაიგივებული.

მთელ საქართველოში წესად იყო ხელოსანთა (მჭედელთა) მიერ ახალი წლის დამდეგს ხელ-მხრის დალოცვის ჩვეულება, რაც ემსგავსება ხევისბერთა ხელ-მხრის “განათვის” წესს. გავისხენოთ ასევე უსტაბაშის (ხელოსანთა მოთავე) მიერ ხელდასმულისათვის ხელის სამჯერ დარტყმის წესი, რაც ხელობის წესრიგის მიღებას, მათდამი მორჩილება – “შეკვრას” აღნიშნავდა, რომ უსტაბაში იყო ამ შრომითი ერთობის მწეობრივი მოძღვარიც, დასჯისა და მოწყალების უფლებით, ანუ მოსამართლე. სადაღო საქმეები ხატის გალაგანში ირჩეოდა და საამქრო სასამართლოს დღედ ორშაბათი იყო დაღგენილი. ხევისბერიც, როგორც მწეობრივი ლიდერი მიმართავდა ხატის კარზე სილის გარტყმის წესს, როგორც დასჯის ფორმას მსუბუქი დანაშაულისათვის. სამონასტრო ძმობაშიც მიღებული იყო შემეცნელთათვის (დამნაშავეთათვის) საკანონოდ

ჯოხით ცემა. გავიხსენოთ ასევე წარმოდგენები წმ. გიორგის მათრახზე, იახსარის ლახტზე თუ სხვა ანუ ძველი გააზრებით, დასჯას იგივე საკანონოს შეგონებითი, დამოძღვრითი როლიც ჰქონდა პიროვნული, მწიგნობრივი სრულყოფის კონტექსტიდან გამომდინარე. დამნაშავე სასჯელის მიღებით, ამ შემთხვევაში “ხელის გარტყმით,” კვლავ უბრუნდება იმ წესს, რომლიდანაც იყო ის გამძღვარი თავისი დანაშაულით და კვლავ “თავს იღებს” მათდამი მორჩილება – მსახურებას, ხდება ამ ალათ-წესებისაგან, იგივე “ხელისაგან” შეკრული. დასჯის და კვლავ ხატის მფარველობაში შესვლის, მოწყალების ასეთი ამბივალენტური მნიშვნელობა ჰქონდა ამ ჩვეულებას. ამ მსოფლხედვის – მართალ გზაზე დაყენების, მოქცევის, “მორჯულების” გამომხატველია პოეტის სიტყვებიც, “წიქლის ცემით დაშუშება სჯობს საუკუნოდ ცეცხლში ბმათა” (“დავითიანი”). გავიხსენოთ ასევე, “ყმა შაუცოდვებელი არ იქნება და ბაგონი შაუნდობელი” (ხალხ.). სიტყვა “კანონიც” ძველი გააზრებით ნიშნავდა გრძელ, სწორ ჯოხს დამნაშავეთა (შემცოდეთა) დასასჯელად. ასეთი საკანონო, “საანდრეშო” ამბები ხეზე ჩაიწერებოდა ან ჭდეს ამოაგდებდნენ. მათ ხატში ინახავდნენ სიმტკიცის, შეუვალობის ნიშნად. გამოსწორება – “გარჯულის” აზრით იცოდნენ ასევე ავი სულით შეპყრობილთა მოყვანაც ხატის კარზე; მთიელთა წარმოდგენით, თუ ბნელიანს ხუცესი ან ვინმე დიდგვაროვანი ბაგრატიონთა სახლიდან სამჯერ გაარტყამდა ხელს, უცილობლად განიკურნებოდაო. შდრ.; ასევე მჭედლების მიერ გრდემლზე უროს სამჯერ დაკერის წესს, რასაც ავი სულის თუ ავადმყოფობის “შესაბოჭად” აკეთებდნენ. ასევე ხელოსანთა მიერ სამუშაო იარაღების დახლზე სამჯერ დარტყმის წესს, მათთვის სიმტკიცის, სიმაგრის მინიჭების მიზნით. ასეთი პირი უკვე ხდებოდა ხატისაგან “დაჭერილი” თუ “შეკრული,” ხატის “ტყვე.” ყოველი ავადმყოფობაც ხატისგან “დამიბეზებად” აღიქმებოდა. “ცოდო-მადლის,” წესი-უწესობის, “ურჯულოების,” ანუ ავ-კარგიანობის კონტექსტში უფრო ცხადად ჩანს, რომ ხევისბერი ეს იყო საზოგადოების გამაერთიანებელი, სამაგალითო ფიგურა – მწიგნობრივი ლიდერი, ყველა საქმის “თაოსანი” – წესრიგის მიმცემი, იქნება ეს ერთობით შრომა-ნაღი, ლაშქრობა, საცილო საქმეები, ქორწილი, ძეობა თუ სხვა ანუ “ხატის” სახელით – “ხელით” სოფლის გამძღო. ხალხის წარმოდგენაში ხელი ლოცვის სიმბოლოცაა. თავად უხუცესის აღმნიშვნელი სიტყვებიც (ხევისბერი, მახეში) გაიგივებულია ლოცვასთან და მლოცველთან. “ხელწმინდობის,” “ხატისაგან შეკერის,” თუ “ნაწილიანობის” ცნებები აძლიერებდა მის მორალურ ავტორიტეტს – ხაზს უსვამდა პიროვნულ ფაქტორს.

ასეთ “ხელწმინდა” კაცებს სიკვდილის შემდეგ “ხაგივით” სცემდნენ თაყვანს და როგორც წმინდანს, შემწეობას – “დავლათს” შესთხოვდნენ. არც ერთი სუფრა ამ “სულწმინდათ” ხსენების, “სახელდების” გარეშე არ დაიწვებოდა. ქალაქშიც, ერთობის მეთაური – უსტაბაში, საერთო “პურის ჭამას” სამძმოს გარდაცვლილ პირთა შესანდობარით იწვებდა. სიცოცხლეში კი სოფელი უხუცესის – წინამძღოლის სახელს “მაღაფდა” – დიდი ხათრის გამო მის სახელს არ იცვოდნენ, განსაკუთრებით ქალები. რადგან, “ცლომალი,” “ავკარგიანობა,” ანუ შინაგანი სრულყოფა, ხასიათის სიმტკიცე იყო მათი მიზანსწრაფვა და გამაერთიანებელი ფაქტორი. ამაში იყო მათი პიროვნული თავისუფლება და “სიმაგრე.” ამ ცნობიერების ცოცხალი სახე იყო ხევისბერი – სოფლის “თავკაცი” და ღამრიგებელი – “მერჯულე,” მათი ხასიათის “მწვრთნელი.” უნებლიედ გვახსენდება ერთი ძველი სიბრძნეც, რომ უხუცესობა, თაოსნობა (დღევანდელი ტერმინოლოგიით ლიდერობა) ხანდამშულობაში, წელთა სიმრავლეში კი არაა, არამედ “გონების მოხუცებულობაში” – სიბრძნეში და უმანკო ქცევებში (იხ. გ. მერჯულე) ანუ პიროვნების სიძლიერეს, მის შინაგან თვისებებში ხელაფდნენ. ამიტომ ამბობდნენ, რომ ხევისბერის გამორჩევა ხდებოდა თავისთავად, პიროვნული თვისებებით. გავიხსენოთ, “აწ ბრძენი უნდა სოფელში ეგრეთ ვით წმინდა ბერია... ბრძენმან არ უნდა იკადროს ურიგო რაც რამ ფერია, ბრძენის ურიგოდ ქცევითა ბადით წახდების ერია (“დავითიანი”) ანუ “სოფელს ატირდეს დეღანი, სოფელს უფროსი კვდებაო, ნუ მოჰკლავ, დამბადებელო, სოფელი წარგვიხდებაო” (ხალხ.). ასეთია მოკლე მიმოხილვით ხევისბრობასთან დაკავშირებული აზროვნება, ჩვეულებები ანუ კულტურული კონტექსტი. ხატისაგან “ლაჭერა” კი მისი გამორჩეული სოციალური როლის ხაზგასმია.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ბუხრაშვილი პ., საცხოვრებელი ქართველი ერის ყოფასა და კულტურაში, თბ., 2005
2. ითონიშვილი ვ. მთიულეთის სოციალური სტრუქტურა XIV-XVIII სს., თბ., 2002
3. კანდელაკი მ., ხევისბრის ინსტიტუტის საკითხისათვის ისტორიულ-ეთნოგრაფიული შტუდიები, თბ., 1978
4. კიკნაძე მ., ჯვარი და საყმო, ქართული მითოლოგია, I, ქუთაისი, 1996.
5. ლეონიძე გ., ნაგვრის ხე, თბ. 1974.
6. ნანობაშვილი ბ., კახეთის საოჯახო მეურნეობა XIX ს.-ის II ნახევარში, თბ., 1996
7. ოჩიაური ალ., ქართული ხალხური დღეობების კალენდარი, თბ. 1991.

*Giorgi Chinchaladze*

**The head of Khevi (Elder)**  
(Ethnological Essay)

The legends, customs, conceptions according to the Head of Khevi, (elder), also his social role and ideology, show that the base of this institution is in person's inner world. The person, distinguished with his characters could become the head of village and at this time the middleman between people and The Virgin. He was distinguished by "icon". Exactly this distinction legalized his moral authority and converted into social role.

We think that such responsibility could take over –Mamasakhlisi, Makhvshi, and Ustabashi in city-life.